პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 თებერვალი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 33 (15550)

გვაცნობდეს!

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს:

პროდუქციის რეალიზაციის და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე, 28 დეკემბრისათვის, ამასთან უზრუნველყონ წარმოების ზრდის დასახული ტემპი. პროდუქციის მატება ძირითადად მიიღონ შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით.

სიტყვას საქმით ამკობენ

ვინც თავი ისახელა

ვეგმის გადამეტებით გაუვანილია 132 გრძივი მეტრი სამოთ გამონამუშევარი, — ასეთი მაჩვენებლით დაამთავრა შარშანდელი სამეურნეო წელი ტუკარჩელის ქვანახშირის ხარ კაეშირის 50 წლისთავის სახელობის შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადამ, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი როდიონ აჩბა ხელმძღვანელობს. ამ მოწინავე სამთო კოლექტივმა დამკვრელური შრომის ნამდვილი მაგალითი აჩვენა და გაიმარჯვა ბრიგადებს შორის გაწმილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შარშანდელი შეჯიბრების ენთუზიაზმი გამოჰყვა სახელოვანი ბრიგადის თვითეული წევრის შრომას და ახალ წელსაც. გვირაბგამყვანებმა პირველი დღეებიდანვე აკარეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. მათ გადაწყვიტეს სუფლიდის მესამე გადამწყვეტი წლის დავალება ორი თვით ადრე შეასრულონ.

გვირაბგამყვანებმა მხნედ შეუტიეს სამოთ ქანებს და რთულ გეოლოგიურ პირობებში იანვრის გეგმით გათვალისწინებული 50 გრძივი მეტრი სამოთ გამონამუშევარი ოცდახამ დღეში გაიყვანეს, დარჩენილ რვა დღეში კი კიდევ რამდენიმე მეტრით წაიწიეს წინ და თვის ბოლოს თებერვლის მეორე დეკადის დავალება გაანაღდეს.

სურათზე: ტყვარჩელის ქვანახშირის ხარ კაეშირის 50 წლისთავის სახელობის შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი როდიონ აჩბა.

ი. პოპონელიძის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ახლახან დამთავრდა ახალი წლის პირველი თვე, მაგრამ თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის მლესავ კომუნისტ ლიანა ჭუმბურიძისათვის ეს პერიოდი უკვე დიდი ხნის განვლილი ეტაპია, რადგან იგი ბევრად უსწრებს დროს — ახლა მარტის ბოლო დღეების ანგარიშში შრომობს. კომუნისტი მლესავი როგორც ყოველთვის ახლაც პირნათლად ანაღდებს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, ცვლის დავალებებს 120-130 პროცენტით ასრულებს.

ლიანა ჭუმბურიძე ხალხრავ საამქროში შრომობს. იგი კოლექტივის პარტიული ბიუროს მდივანია და ამ საპატიო საზოგადოებრივ დავალებასაც დიდი გულისხმიერებით ეკიდება. ყოველმხრივ მისაბაძია ამ მოწინავე კომუნისტის საქმიანობა, ქარხანაში შრომასთან ერთად იგი სწავლასაც ასწრებს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მეხუთე კურსის სტუდენტია.

ლიანა ჭუმბურიძე სამაგალითო მუშაა. ამიტომაც არის, რომ მას ხელმძღვანელობენ ბევრი მიმდევარი ჰყავს, მისი მუშაობის გამოცდილებას იზიარებენ ახალგაზრდა მუშები.

სურათზე: თბილისის ხიინსტრუმენტი ქარხნის მოწინავე მლესავი კომუნისტი ლიანა ჭუმბურიძე.

ბ. მორგუნოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ვაპაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, მომხმარებელს მივაწოდოთ გამძლე, ლამაზი ფეხსაცმელი. წელს ამ დევიზით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში“. ნაკისრია გადიდებული ვალდებულებები. მეფეხსაცმლეებს გადაწყვეტილი აქვთ მიმდინარე წელს გამოშვებული პროდუქციის 35 ახალი სახეობის ნაწარმიდან ორი სახეობის ნაწარმი სახელმწიფო ხარისხის წინაშე წარადგინონ; ერთი პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგონ 43 ათასი მანეთი.

დამკვრელურად შრომობენ მეფეხსაცმლეები. ახლა უფრო რაციონალურად იყენებენ სამუშაო დროს, ეუფლებიან ახალ ტექნიკას, თვითეულ მათგანს ხურს გამარჯვებული გამოვიდეს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

იანვარში ბევრმა მუშამ ისახელა თავი. იმათ შორის, ვინც დავალება ვადაზე ადრე შეასრულა, არის კომუნისტური შრომის დამკვრელი ავთანდილ ომაიძე. მოწინავე მუშამ მაქსიმალურად შეამჯიდროვა სამუშაო დრო და მიაღწია ყოველდღიური ნორმების 140-150 პროცენტით შესრულებას. ახლა მას შეუძლია ჩაგვეფინ ამ მოწინავე მუშათა რიგებში, რომლებიც ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებისათვის იბრძვიან.

სურათზე: თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ კომუნისტური შრომის დამკვრელი ავთანდილ ომაიძე.

ხ. თევზაძის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

სოფლის საოდენისო თემაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავიცალოთ ტექნიკის რემონტი

ტექნიკური პროგრესი ხულ უფრო ფართოდ ინერგება სოფლის მეურნეობაში და წარმატებათა მოპოვების დიდი რეზერვი ხდება, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუხრელი ზრუნვის შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად იღებს ათასობით ტრაქტორს, კომბაინს, სათესებს, სიღოსის ასაღებ, ხაჭრელ მანქანებს და სხვა დიდძალ ტექნიკას. ყველაფერი ეს პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეს ემსახურება.

ამიტომ ახლა, საგაზაფხულო თესვისათვის ტექნიკის მომზადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშაობაა გაჩაღებული. განსაკუთრებით დაძაბულად შრომობენ „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებების მექანიზატორები, სპეციალისტები.

მაგრამ როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პირველი თებერვლის ცნობებიდან ჩანს, ტექნიკის რემონტში მიღწეულებთან ერთად ნაკლოვანებებიც არის. 1972 წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 აპრილამდე რესპუბლიკაში გეგმით უნდა შეკეთდეს 3.453 ტრაქტორი, ფაქტიურად 1 თებერვლისათვის შეკეთებული იყო 2.577 ტრაქტორი, ანუ გეგმის 75 პროცენტი.

აქედან კოლმეურნეობებში ტრაქტორების შეკეთების გეგმა შესრულებულია 78 პროცენტით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 70 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ ტრაქტორების რემონტის გეგმა ვადამდე გადაჭარბებით შესრულეს ჯანის, ბიგაშაძორის, ბოლნისის, ხობის, საჩხერის, ცხაკაიას და მაიაკოვსკის რაიონების მექანიზატორებმა.

ეს სამუშაო შედარებით კარგად მიმდინარეობს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, საშურის, სიღნაღის, ჩხოროწყუს, ლაგოდეხის, დუშეთის, თერჯოლის, აბაშის რაიონებში. მაგრამ ბევრგან რემონტში ნელი ტემპია აღებული. მაგალითად, გარდაბნის რაიონში უნდა შეკეთდეს 215 ტრაქტორი, შეკეთებულია 97. თელავის რაიონში 128 ტრაქტორიდან შეკეთდა 69, მარნეულის რაიონში 165-დან — 15, წითელწყაროს რაიონში 215-დან — 168.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა გურჯაანის რაიონში. აქ ტრაქტორების რემონტის დავალება შესრულებულია 53 პროცენტით, საგარეჯოს რაიონში — 59 პროცენტით, ახალციხის — 42, ლმანისის — 39, სამტრედიის — 59, წულუკიძის — 53, ადიგენის — 60, ჯორის — 65 თეთრი წყაროს — 70, ყვარლის რაიონში — 63 პროცენტით. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში რემონტის გეგმა შესრულებული აქვთ 76 პროცენტით.

აფხაზეთში გეგმით უნდა შეკეთდეს 315 ტრაქტორი, შეკეთებულია 280, აჭარაში 60-დან — 39, ამ საქმეში ჩამორჩენილი არიან წალენჯიხის, ჩოხატაურის რაიონები.

ხულ მალე ტრაქტორები უნდა გავიდნენ მინდვრად სამუშაოდ. ამიტომ უნდა მივიღოთ ენერგიული ზომები მთელი ტექნიკის დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთებისათვის. ეს საქმე ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის რაც შეიძლება მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მოღვაწისადმი მხატვრული ინტელიგენციის ნარმომადგენელთა მიმართვასთან დაკავშირებით საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დანესებულებათა მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლნი მხურვალედ გამოეხმაურნენ გადაწყვეტილებას პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების რესპუბლიკური აქტივის კრებისას, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ამოცანები 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესასრულებლად სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა მიხედვით, და კულტურის ყველა მოღვაწეს მოუწოდა მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის შესახებ, კომუნისტებისა და კომკავშირელების, ჩვენი თანამედროვეების — კომუნიზმის მშენებლების შესახებ ღრმად იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნას.

მიმართვა რესპუბლიკის კულტურული ფრონტის ყველა მუშაკს მოუწოდებს გახდნენ 1973 წლის — ხუთწლედის გადამწყვეტი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის აქტიური მონაწილენი.

შემოქმედებითმა კავშირებმა, კულტურის სამინისტრომ და დაწესებულებებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელთა ინიციატივას. კულტურის სამინისტრომ, მწერალთა კავშირმა, მხატვართა კავშირმა, კინემატოგრაფისტთა კავშირმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის სახელობის დრამატულმა აკადემიურმა თეატრებმა კოლეგიებზე, პრეზიდიუმებზე, სამდივნოებსა და საერთო კრებებზე მიიღეს სპეციალური დადგენილებანი, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც კულტურული ფრონტის მუშაკებს დაუსახეს აქტივის კრებამ და ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა მიმართვამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა შემოქმედებითი კავშირების, კულტურის სამინისტროსა და ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პრაქტიკული ღონისძიებანი იმ ამოცანათა შესასრულებლად, რომლებიც აქტივის კრებამ და ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა მიმართვამ დაუსახეს რესპუბლიკის კულტურული ფრონტის მუშაკებს მეცხრე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ყველა შემოქმედებითს კავშირსა და განყოფილებას, საქართველოს სსრ კულტურის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დაეკალათ დასახელებულ ორგანიზაციათა მაგალითისამებრ ფართოდ განიხილონ ეს საკითხები და მიიღონ შესაბამისი დადგენილებანი.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა მხატვრული ინტელიგენციის პატრიოტულ წამოწყებას, და მისი შემოქმედების შემდგომი სტიმულირების მიზნით ბიურომ საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას დაავალა შეიმუშაონ სოფლისა და ქალაქის მშრომელებისადმი, მეცხრე ხუთწლედის გმირებისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის რესპუბლიკური კონკურსის პირობები. (საქინფორმი).

ნაკლები დანახარჯებით

თბილისი. (საკ. კორ.). გაერთიანება „თბილთამბაქოს“ (დირექტორი ა. კვეკელია) კოლექტივმა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის ფართოდ გაანალა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: არსებულ საწარმოო ფართობზე ნაკლები დანახარჯებით გამოვუშვათ მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია. მეთამბაქოეები პირობის შესასრულებლად დამკვრელურად შრომობენ და კარგ შედეგებსაც აღწევენ. აქ იანვარში ნატურპროდუქციის გამოშვების გეგმას 2 პროცენტით გადაჭარბეს, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება 103,4 პროცენტით გაანაღდეს, პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 318 ათასი მანეთით გადამეტეს. აღსანიშნავია, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ნატურპროდუქციის გამოშვება 5 პროცენტით გაზარდეს, პროდუქციის მატება ძირითადად მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

საწარმოში დიდ ყურადღებას აქცევენ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას. თამბაქოს საამქროში დაიდგა ნედლეულის გადამუშავებელი ხაზი, რის შედეგადაც ყოველდღიურად თამბაქოს გადამუშავება 4-5 ტონით გაიზარდა. საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე სიგარეტის დამტენი და ჩამწყობი ოთხი მანქანა.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან მანქანების მარეგულირებელნი ნ. ძიძიგური, შ. ჩუმაშვილი, ო. ნიკარაძე, უ. ბაიდაური და მ. ლევაშენკო. ამ მოწინავე ადამიანების წყალობით მანქანები შეუფერხებლად მუშაობენ და მუდამ ზეგეგმიოს პროდუქციას უშვებენ

საქართველოს ავტომობილთა მაგალითი

კპაისა. ტყვია-თუთიის საბადომ გასული წლის საწარმო პროგრამა გადაჭარბებით განაღდა, სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის დავალება შესრულდა 101,5 პროცენტით, პროდუქციის წარმოებისა — 102,1 პროცენტით.

აქ „ახალი წლის პირველ დღეებშივე გაიშალა შრომა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. საბადოს ცალკეულმა უბნებმა, ბრიგადებმა, ცვლებმა მეუხედავად ზამთრის მკაცრი პირობებისა უკვე განაღდეს მაწის ამოღების იანვრის დავალება. სოციალისტურ შეჯიბრებებში დაწინაურდა ბ. ხუციევის ცვლა, რომელმაც ვალდებულება იკისრა მადნის გადამუშავების წლიური გეგმის გადამეტებით აწარმოოს 500 ტონა პროდუქცია.

წარმატებით შრომობს ლ. გაგიევის ნნგრეველთა ბრიგადა. ბრიგადამ გეგმის ვადამეტებით უკვე მოანგრია და გამამდიდრებელ ფაბრიკას მიაწოდა 200 ტონა მადანი.

კარგი მაჩვენებლები აქვთ ც. ქოზაევის ბრიგადის მაღაროელებს ხ. ქელეხსაევს, შ. თანდელოვს, ა. ზასეევს.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ტყვეთა ბანაკი

ლუსაკა. 7 თებერვალი. (საკ-დესი). მიუხედავად იმისა, რომ სოლსბერის რეჟიმმა გააუქმა გადაწყვეტილება ზამბიის საზღვრის ჩაკეტვის შესახებ, ვითარება სასაზღვრო ზონაში კვლავ სახიფათოა.

როდეზიის ჯარები და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეგულარული არმიის ნაწილები, რომლებიც სამხრეთ როდეზიაში არიან გაგზავნილი, ჯერ ისევ დისლოცირებული არიან ზამბიის საზღვრის მახლობლად.

როგორც გაზეთი „ზამბია დეილი მეილი“ იუწყება, როდეზიის მხარე ბარბაროსულად ესხმის თავს ზამბიის ტერიტორიას, რის მოსვლა გამოიყენა იმისათვის, რომ გაეფრთხილებინა კოლეგები „საერთო ბაზარში“ „სეროიზული შედეგების“ შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა „ჯეროვნად არ გაითვალისწინეს“ შეერთებული შტატების სავაჭრო ინტერესები და არ წავიდნენ დათმობაზე.

მან, კერძოდ, შენიღბული ფორმით ურჩია „საერთო ბაზრის“ წევრებს შეარბილონ თავიანთი პოზიცია ხმელთაშუა ზღვის რაიონის ქვეყნებთან სავაჭრო შეთანხმებების დადების საკითხში. როგორც ცნობილია, ამ შეთანხმებების წინააღმდეგ მკვეთრად ილაშქრებს შეერთებული შტატები, რომელსაც ეშინია არ დაკარგოს თავისი სავაჭრო პოზიციები ხმელთაშუა ზღვის რაიონში.

„საერთო ბაზრის“ წრეებში დუგლას-ჰიუმის სიტყვა მიაჩნიათ იმის კიდევ ერთ დადასტურებად, რომ ინგლისი არ აპირებს უარი თქვას „ტროას ცხენის“ როლზე დასავლეთ ევროპაში და ეცდება შუამავლისა და „შემარიგებლის“ როლი შეასრულოს კონფლიქტში შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპას შორის.

მოლაპარაკება ვიენტიანში

ვიენტიანი. 7 თებერვალი. (საკდესი). პარტიული ძალების დელეგაციის და ვიენტიანის ადმინისტრაციის დელეგაციის მოლაპარაკების მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის შეწყვეტა და მშვიდობიანი, დამოუკიდებელი, ნეიტრალური, დემოკრატიული, ერთიანი და აყვავებული ლაოსის შექმნა, გაცანდა დელეგაციათა დღეგანდელ მე-17 შეხვედრაზე ლაოსის პატრიოტული ფრონტის წარმომადგენელმა სუკ ვონსაკამ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლაოსის პატრიოტული ფრონტის დელეგაციის სპეციალური მრჩეველის, ამ ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ფუმი ვონვეიტის ჩამოსვლა ვიენტიანში მოწმობს, რომ ქვეყნის პატრიოტული ძალები მთელი ლაოსელი ხალხის მისწრაფებათა შესაბამისად გულწრფელად ისწრაფვიან რაც შეიძლება მალე აღდგეს მშვიდობა ლაოსში.

მიწისძვრის შედეგები

მეხიკო. 7 თებერვალი. (საკ-დესი). 40-ზე მეტი დაღუპული, ასობით დაშავებული და 100 მილიონ მექსიკურ პესოზე მეტი თანხის მატერიალური ზარალი — ასეთია მექსიკის კოლიმისა და ხალისკოს შტატებში მომხდარი ამასწინანდელი მიწისძვრის შედეგები. ეს ოფიციალური მონაცემები გამოქვეყნდა მექსიკის გაზეთებში მას შემდეგ, რაც დაზარალებულ რაიონებს ეწვია ქვეყნის პრეზიდენტი ლ. ეჩევერია.

პირველი, ყველაზე ძლიერი ბიძგის შემდეგ, რომელიც 30 იანვარს მოხდა, რიხტერის სკალით, 7,5 ბალს უდრიდა. ამავე ზონაში აღირიცხა კიდევ 10 ბიძგი.

ინგლისის მინისტრი ურჩევს

ბრიუსელი, 7 თებერვალი. (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა და ერების თანამეგობრობის საქმეთა მინისტრმა დუგლას-ჰიუმმა ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს სესიას მოახსენა ლუქსემბურგში პრემიერ-მინისტრ ჰიტის მოლაპარაკების შედეგები. წინააღმდეგ ჩვეულებრივი ტრადიციისა, დუგლას-ჰიუმმა „საერთო ბაზრის“ მინისტრთა საბჭოს წარუდგინა მოხსენება ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ამ თემაზე ინფორმაციას წარუდგენდა ინგლისის პარლამენტს.

ინგლისის მინისტრმა თავისი გამოსვლა ბრიუსელში ასეთ ფორმულირებას ეფუძნა: „ინგლისი ეცდება ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ... ინგლისი ... ევროპის ... ...

ცემენტი, მშენებელი, მიმწოდებელი

ცემენტის ბარიერები

რუსთავის ცემენტის ქარხანაში ნაშთები იზრდება, ვინ არის დამნაშავე?

ამ იმდენია ბუთწლეულის მესამე წლის სახალხო მეურნეობის გეგმის, ვადამდე შესრულებისათვის დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება დეკემბერი: მივცეთ სამშობლოს მეტი, ხაუკეთესო ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით. ამ პირობის შესასრულებლად საჭიროა მიზანდასახული ორგანიზატორული საქმიანობა, ინიციატივა, თავდადებული შრომა. განსაკუთრებით საჭიროა მკაცრად ვიცავდეთ დისციპლინას, ყველა პირნათლად ასრულებდეს თავის მოვალეობას, არ დაირღვეს შრომის რიტმი. ამისათვის კი უნდა გავზარდოთ მუშაკების პირადი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი.

თუ რა მოსდევს ამ მოთხოვნების დარღვევას, თუ რა უარყოფით გავლენას იხდენს დაბალი სახელმწიფო და შრომითი დისციპლინა საქმიანობაზე, ამაზე ნათლად მეტყველებს რუსთავის ცემენტის ქარხნისა და სამშენებლო ორგანიზაციების, რკინაბეტონის კონსტრუქციების საწარმოთა არაორგანიზებული, გაუმართავი მუშაობა.

შარშან წლის პირველ ნახევარში ცემენტის ქარხანა (დირექტორი გ. ცხაკაია) მკვეთრად ნამორჩა. ამან თავის მხრივ უარყოფითი გავლენა მოახდინა მშენებელთა გამართულ საქმიანობაზე. მართალია მეოთხე კვარტალში მეცემენტეებმა მდგომარეობა გამოსწორეს, მაგრამ წინა თვეების დანაკლისი მაინც ვერ დაფარეს, სამშობლოს დიდძალი ცემენტი დაკარგეს. მიუხედავად ამისა, პირველი იანვრისათვის ნორმასთან შედარებით ზედმეტი ნაშთი აღმოაჩინდათ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქარხანამ ბუთწლეულის მესამე, გადამწყვეტი წელი კარგად დაიწყო. აქ გამარჯვებული სოციალისტური შეჯიბრება და თებერვალში ცემენტის გამოშვების გეგმას 1000 ტონით გადააჭარბეს. ეს კარგი და მისასალმებელია. ეს ისაა მხოლოდ ის, რომ მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციებისა და ავტოსატრანსპორტო საწარმოს უხეიერო მუშაობის შედეგად რეგულარულად არ სწარმოდეს ცემენტის გაზიდვა საწარმოდან, აზრდება ნაშთი და, თუ ასე გაგრძელდა, ქარხანას ცემენტის საცავები ადარ ეყოფა და იძულებული იქნება მუშაობა შეაჩეროს. საბოლოო ანგარიშით ეს გამოიწვევს მშენებლობების შეფერხებას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მშენებლობის, სამშენებლო ინდუსტრიისა და კრამუალური მეურნეობის განყოფილებისა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მიერ ერთობლივი შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ რუსთავის ცემენტის ქარხნის საცავებში ცემენტის ნაშთი ნორმაზე სისტემატურად მეტია (ნორმა 11 ათას ტონას ეუფლება).

გაუმართავი მანქანები, ჩაშლილი რეისები

წელს იანვარში ქარხანაში ცემენტის ფონდები ათვისებულია 93,8 პროცენტით, ანუ მომხმარებლებს არ მიეღოთ 4092 ტონა ცემენტი, საიდანაც დიდი წილი ავტოცემენტმზიდავებით ცენტრალიზებულ გადაზიდვებზე მოდის.

ქარხნის მიერ ავტოცემენტმზიდავებით ცენტრალიზებული გადაზიდვების წესით ცემენტის მომხმარებლებს მიწოდების გეგმის შეუსრულებლობა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 2 ტრესტის რუსთავის № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოს (დირექტორი რ. ჯუღელი) ცუდი მუშაობის შედეგია. აქ სატვირთო ბარკის გამოყენების კოეფიციენტი მეტად დაბალია. ამის მაგვარად, რომ დღეღამეში მოთხოვნისამებრ 60 ავტოცემენტმზიდავი გამოიყენოს და დაანლოებით ათასი ტონა ცემენტი გადაზიდოს, ეს საწარმო რეისში საშუალოდ 44 ავტომანქანის თვე აუბვნია. ამასთან მანქანების ნაწილი ტექნიკურად გაუმართავია. ამიტომ, მაგალითად, 1973 წლის იანვარში 25 ათასი ტონის ნაცვლად ავტოსატრანსპორტო საწარმომ მხოლოდ 14,8 ათასი ტონა ცემენტი გადაზიდა, რაც გეგმის მხოლოდ 59 პროცენტია.

როგორც ფაქტები მეტყველებენ, ავტოსატრანსპორტო საწარმო იანვრის პირველი დეკადებიდანვე ცემენტის გაზიდვის ყოველდღიურ გეგმას ვერ ასრულებს. რა არის ამის მიზეზი? პირველ რიგში ის, რომ შეკვეთებელ სახელოსნოები მეტად კუსტარულია, აკლიათ საათადარიგო ნაწილები. სახელოსნოებში არ არის გათბობა. ზამთარში ციე რკინასთან მუშაობა მუშებს უჭირთ და საკმაოდ ბუნებრივია, დაბალია შრომის ნაყოფიერებაც. თუ მანქანის შეასკეთებლად ორი-სამი დღეა საჭირო, აქ მთელ თვეს ანდომებენ.

ერთი ფაქტი: № 32-89 მანქანის 2 იანვარს დაუბიანდა ძრავა. ამის გამო, რომ რაღაც უბრალო დეტალი არ ჰქონდათ, მთელი თვე იდგა. კიდევ მეტი: ტრესტ სამშენებლო ინდუსტრიის მე-3 რკინაბეტონის ქარხანაში № 60-98 მანქანათ 29 იანვარს მძღოლმა მოიტანა ცემენტი. ცემენტი ვერ დაცალეს, რადგან კომპრესორი არ მუშაობდა. მანქანა უკან დაბრუნდა და დატვირთული მანქანა მხოლოდ მესამე დღეს მოიკვანა მძღოლმა საწარმოში.

მძღოლებს შორის არ არის გაწმენდილი სოციალისტური შეჯიბრება, დაბალია მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა. გეგმით თვითეულმა მძღოლმა დღეში სამი რეისი უნდა გააკეთოს. აქ ასეთი მძღოლები იშვიათად არიან. შემოწმების დღეს ჩვენ ვნახეთ ბევრი მანქანა, რომლებიც დატვირთეს წინა დღის საღამოს და დილის 10 საათზე ჯერ კიდევ გასული არ იყო რეისში. ცხადია, ასეთი მუშაობით ზოგიერთი მძღოლი საშს კი არა, ერთ რეისსაც ძლივს გააკეთებს. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ პრაქტიკული დახმარება გაუწიოს საწარმოს სახელოსნოებს, ხოლო თვით ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ძირეულად გარდაქმნან მუშაობა, განამტკიცონ შრომის დისციპლინა.

ტვირთის დაბრუნება ხშირად ხდება იმის გამოც, რომ მძღოლები არ არიან დაინტერესებული ტვირთის ადგილზე მიტანით. ტვირთით უკან დაბრუნებულ მძღოლს შრომის უნაყოფურად 1,7 კოეფიციენტის მიხედვით, მაშინ, როცა მიტანილ ტვირთზე ანაზღაურება მხოლოდ 1,15 შეადგენს. ამასთან იმ მძღოლის შრომის ანაზღაურებულ, რომელმაც ტვირთი არ ჩააბარა, დგება ცალმხრივი აქტები თვით მძღოლის მიერ მიმღების ხელის მოუწერლად. ამ აქტებითვე მომხმარებელს წაუყენებენ ხელმი ჯარიმის სანქციას.

მძღოლების მუშაობაზე კონტროლის უქონლობამ, ცალმხრივი აქტების შედგენის მანკიერი პრაქტიკა ქმნის ფაქტიურად შეუსრულებელი რეისების შესრულებულად მიწერის პირობებს.

იმ სადღეღამისო გრაფიკების რეალიზაციის, რომლებსაც რუსთავის ცემენტის ქარხნის გასაღების განყოფილება ადგენს, რუსთავის № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმო ხშირად მომხმარებელთა თავისებურებების გაუთვალისწინებლად აწარმოებს, რაც ცალკეულ შემთხვევაში ცემენტის უკან დაბრუნების მიზეზი ხდება. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის № 1 რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატში, რომელიც ცემენტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელია, ერთდროულად მიდის რამდენიმე ავტომანქანა, ყოველგვარი ინტერვალის დაუცავად. არ ითვალისწინებენ დროსაც, ავტოცემენტმზიდავების გადმოსატვირთავად რომ არის საჭირო. ამით ხდება ობიექტზე მანქანების თავმოყრა და მძღოლებიც, აღარ უცდიან რა თავიანთ რიგს, გადმოუტვირთავად უკან ბრუნდებიან იმ საბაბით, თითქოს მომხმარებელს შესანახი ადგილი არ ჰქონდეთ. ამ მიზეზით მარტო 1973 წლის 17, 27 და 29 იანვარს ამ კომბინატმა ვერ მიიღო 32,5 ტონა ცემენტი.

ეს ფაქტები იმაზე მიგვითითებენ, რომ ავტოტრანსპორტით ცემენტის ცენტრალიზებული გადაზიდვის საქმეში არის ნაკლოვანებანი, რომლებმაც ძირითადად გამოიწვიეს ნაპირობა იანვარში ცემენტის გადაზიდვის გეგმების შეუსრულებლობა და საწარმოებიდან და სამშენებლო სამმართველოებიდან ცემენტის უკან დაბრუნების არა ერთი შემთხვევა.

ცალმხრივი აქტები, სავალალო ფაქტები

ცემენტის ქარხნის გასაღების განყოფილება ავტოსატრანსპორტო საწარმოს აძლევს განაცხადს, თუ რომელ ობიექტებზე უნდა გადაიტანონ ცემენტი. ავტოტრანსპორტელები კი საქმის კურსში არ არიან თუ პირველ რიგში რომელ ობიექტზე უნდა მიიტანონ ცემენტი. აქ ყველაფერი მძღოლებზეა დამოკიდებული — რომელ ობიექტს აირჩევენ. ცხადია, ეს ბევრ გაუგებრობას იწვევს. ხშირია უკან დაბრუნებისა და ცემენტის დაგვიანებით მიტანის შემთხვევები. მიტად დამახასიათებელია ერთი ასეთი მაგალითი: საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო ტრესტმა ქარხანას მისცა განაცხადი, რომ 26 იანვარს მისთვის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მშენებლობაზე მიეტანათ ცემენტი. ამის გამო, რომ აქ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განაცხადებს ყურადღებას არ აქცევენ, ობიექტზე ცემენტი მხოლოდ 2 თებერვალს მიეტანეს. ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში მძღოლი ბარნოვი უკან დაბრუნდა და გასაღების განყოფილების წარუდგინა ზედნადები ცემენტის უკან დაბრუნების შესახებ ამ მიზეზით, თითქოს ადგილზე მას არავინ დახვდა! მძღოლის დაბრუნებამდე კი სამუშაოთა მწარმოებელი მოვიდა განყოფილებაში და სთხოვდა ცემენტი გიჟგზავნათ მისთვის. როგორც ვხედავთ, უნაყოფოდ დაკარგა რამდენიმე ათეული ტონა-კილომეტრი, მოცდა მანქანა, მშენებლებს ხელი შეუშალა. არის ასეთი შემთხვევაც: ობიექტზე აგზავნიან გაცილებით მეტ ცემენტს, ვიდრე ეს განაცხადით არის გათვალისწინებული.

რატომ არის, რომ მძღოლები ზოგჯერ ასე უპასუხისმგებლოდ იქცევიან და დაცდას, ჩამბარებლის მოძებნას ირჩევენ უკან დაბრუნდნენ, უკმად გაიბრნონ ათეული ტონა-კილომეტრები? თუმცა ნუ იტყვით, შემოღებულია ცალმხრივი აქტის შედგენის პრაქტიკა. ეს წესი არც კანონით არის გამართლებული და არც საქმისათვის არის სასარგებლო. ცემენტის ქარხნის გასაღების განყოფილებაში არის ამისი მრავალი ფაქტი, რომ სრულიად უმიზეზოდ დატვირთული მანქანა უკან დაბრუნდა.

ცალმხრივად შედგენილი აქტები მძღოლებსა და მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს უპასუხისმგებლობისაგან უხმაურებს. მთელ რიგ შემთხვევებში ჭირს დამნაშავის დადგენა. 2 თებერვალს, შემოწმების დღეს, დღის 3 საათზე უკან დაბრუნდა მანქანა № 33-74, რომელსაც ნ. კომაროვი მართავდა. გამოირკვა, რომ მძღოლი გარაჟიდან გავიდა დილის 9 საათსა და 30 წუთზე, ადგილზე კი მივიდა პირველ საათზე. მან განაცხადა, რომ ადგილზე არ დახვდა სამუშაოთა მწარმოებელი, ვისთვისაც ცემენტი უნდა ჩაებარებინა. მისმა პასუხმა დაგვაეჭვა და მძღოლს კითხეთ: ბუსთავიდან თბილისში ჩასვლას 4 საათი რატომ დასჭირდა. იგი ირა კი დაფიქრებული და პირდაპირ გვიპასუხა. — სახლში გავიარე და შემავიკონა. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ცალმხრივმა აქტებმა მძღოლები უპასუხისმგებლობას მიაჩვია. ამის ისიც უნდა დაკუმატოთ, რომ უკან დაბრუნების შემთხვევაში მძღოლი არაფერს არ ზარალობს. იგი ხელფასს მაინც ღებულობს, და რა გასაკვირველია, რომ ამ უამინდობაში მძღოლმა იცოდლუტოს და ცალმხრივი აქტი შეადგინოს.

ცემენტის ქარხანამ, ავტოსატრანსპორტო საწარმომ და სამრეწველო ორგანიზაციებმა ისე უნდა მოაგვაროთ საქმე, რომ ცემენტის უკან დაბრუნების შემთხვევაში აქტს ხელს აწერდნენ მიმტანი და მიმღები ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამით ბოლოს მოვუღებთ ყოველგვარ გაუგებრობას, ავამღლებთ მუშაკთა პასუხისმგებლობას. ავტოსატრანსპორტო საწარმომ ქარხანას გასაცხადან მიხედვით უნდა გამოუყოს მანქანები, ხოლო გასაღების განყოფილებამ, რომელმაც ყველაზე კარგად იცის რომელ ობიექტს უფრო უჭირს ცემენტი, — პირველ რიგში აქ უნდა გაგზავნოს იგი. ამ უდაოდ სწორი წესის წინააღმდეგ არც ავტოსატრანსპორტო საწარმოს და არც ქარხნის გასაღების განყოფილების ხელმძღვანელები არიან, ისინი თითქოს მიეასალებიან კიდეც ამას, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ ახორციელებენ?!

რატომ შემცირდა ცემენტის მოხმარება

ახლა, როცა სამშენებლო სამუშაოების ინიციამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის გამო მშენებლები ძირითადად 1972 წლის ბოლოს საეკსპლოატაციოდ გადაეცემულ ობიექტებზე დარჩენილი ბარეგზების გამოსწორებას აწარმოებენ და ამასთან ისინი მზად არ არიან ზამთრის პირობებში მუშაობისათვის, ვერ შეასრულეს იანვრის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმები, ამიტომ ცემენტის მოხმარება მკვეთრად შემცირდა, გამოტენილია საცავები.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის საწარმოო კომბინატმა 1973 წლის იანვარში დაამზადა 276 კუბური მეტრი ბეტონი, ანუ გეგმის 18 პროცენტი. 15 იანვრის შემდეგ მან სასაქონლო ბეტონის გამოშვება საერთოდ შეწყვიტა. № 18 ტრესტის საწარმოო კომბინატმა კი სასაქონლო ბეტონის წარმოება 1973 წლის 12 იანვრიდან მთლიანად შეაჩერა, № 3 ტრესტის საწარმოო კომბინატი ბეტონს 22 იანვრიდან 27 იანვრამდე არ უშვებდა. № 14 ტრესტის № 2 საწარმოო კომბინატმა გამოუშვა 790 კუბური მეტრი სასაქონლო ბეტონი, ანუ გეგმის 79 პროცენტი და 930 კუბური მეტრი სასაქონლო ხსნარი, ანუ გეგმის 62 პროცენტი.

სამშენებლო ორგანიზაციებს შორანდლიდან გადმოსული ცემენტის ნაშთები აქვთ, მისი ახალი ფონდების ათვისება კი შემცირდა.

ფონდები ქრის, გაჩაცხადები იგვიანებს

მაშინ, როცა ფონდები არსებობდა, იანვარში მომხმარებლებმა არ გაიფორმეს განაცხადები 1843 ტონა ცემენტის ცენტრალიზებულ გადაზიდვაზე. მათ შორის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ — 143 ტონაზე, № 13 ტრესტმა — 172 ტონაზე, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტმა — 365 ტონაზე, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს რუსთავის საშენ მასალათა კომბინატმა—47 ტონაზე, „საქმიდროენერგომშენის“ ტრესტმა—131 ტონაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ—412 ტონაზე, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ—83 ტონაზე, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ — 36 ტონაზე, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიხედვით ზედნადები 452 ტონა ცემენტზე (1973 წლის პირველი კვარტალისათვის) მშენმომარაგებაგასაღების სამმართველოდან ქარხანაში მხოლოდ 23 იანვარს მოვიდა, ისიც მომავალი განაცხადის გაუფორმებლად.

იანვარში ცემენტის ვადატვირთვა ვერ უზრუნველყვეს მომხმარებლებმაც, რომლებსაც ჰქონდათ თვითშეზიდვის ფონდები 495 ტონის რაოდენობით. მათ შორის არიან სსრ კავშირის თაედაცვის სამინისტრო — 324 ტონა, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი — 171 ტონა.

თავის მხრივ ქარხანამაც დიდი რაოდენობით ცემენტი ვერ გადაუტვირთა სამშენებლო ორგანიზაციებს.

დღეღეღეობით რუსთავის ცემენტის ქარხანაში ხშირად აქვს ადგილი ცემენტით დატვირთული ავტომანქანების დაბრუნების ფაქტებს, არის დანაშულების სადგურებში რკინიგზის ვაგონების დიდი მოცდენებიც.

დატყვევებული ვაგონები

რუსთავის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მონაცემებით იანვარში უკან დაბრუნდა 163 რეისის ავტოცემენტხაზიდი, აქედან მომხმარებელმა 105 შემთხვევაში ვერ უზრუნველყო ამ მანქანების გადატვირთვა, ე. ი. ქარხანაში დაბრუნდა 948 ტონა ცემენტი, ხოლო მომწოდებლის მიზეზით შესაბამისად დაბრუნდა 58 რეისი 379 ტონა ცემენტით. ავტოცემენტმზიდავების უმიზნო გარბენისათვის რუსთავის ცემენტის ქარხანამ მომხმარებელს მარტო იანვარში წარუდგინა 1.625 მანეთი ჯარიმა.

ავტოცემენტმზიდავების უკან დაბრუნება იმითაც არის გაპირობებული, რომ ქარხანა ცემენტს არაორიგინალურად აწვდის. მაგალითად, მშენებლობის სამინისტროს № 18 ტრესტის საწარმოო კომბინატს — დიღმის საამქროს ქარხანამ განაცხადის ზევით 15 იანვარს მიაწოდა 17 ტონა ცემენტი, 18 იანვარს — 7 ტონა, ხოლო 9, 13 და 25 იანვარს საერთოდ არ მიუწოდებია. ყურადსაღებია ასეთი მაგალითიც: მშენინდუსტრიის ტრესტის № 3 რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატმა 4 იანვარს დეკემბრით სთხოვა ქარხანას ტექნიკური მიზეზების გამო 8 იანვრამდე ცემენტი არ გამოეგზავნა, მაგრამ ქარხანამ 5 იანვარს მაინც გაუგზავნა 20 ტონა ცემენტი.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ენგურჰესის მშენებლობაზე, რომელსაც რუსთავის ცემენტის ქარხანა 1 იანვრიდან 17 იანვრამდე დღეღამეში საშუალოდ 450 ტონა ცემენტს უტვირთავდა, ფონდი კი 350 ტონას ითვალისწინებდა. ამასთან ოთხი დღის განმავლობაში (7, 11, 12 და 13 იანვარს) ქარხანამ გადაუტვირთა 2.665 ტონა ცემენტი. 15 იანვარს მშენებლობას მოიაგა 52 ვაგონი, 16 იანვარს — 28 ვაგონი, 17 იანვარს — 12 ვაგონი. ამის გამო, რომ ვაგონების დაცლის ვერ უდიან, დიდია მოცდენები. იანვრის სხვადასხვა დღეებში ანალოგიურად № 14 ტრესტის № 2 საწარმოო კომბინატში ერთდროულად მოვიდა 50 ვაგონი, ხოლო სახლსამშენებლო კომბინატის მისამართზე — 10 ვაგონი. ამის გამო, რომ მოზღვავებულ ვაგონებს დროზე ვერ ცლიან, დიდხანს არიან დატყვევებულნი ნიხში.

გაჭიანურებული რეკონსტრუქცია

მთავართბილმშენის № 15 ტრესტს ნავთლუღში აქვს მსხვილპანელიანი სახლსამშენებელო კომბინატი. ეროთ შეხედვისთანავე იქ კარგსა და მოსაწონს ვერაფერს დაინახავთ. ირგვლივ ყველაფერი მინგრეულ-მონგრეულია, ეზოში დგას გაუვალი ტალახი და გუბეები. აქ შრომისა და ყოფაცხოვრების ელემენტარული პირობებიც კი არ არსებობს. საწარმოში, სადაც 400 კაცზე მეტია, არა აქვთ სასადილო. საღამოს საათებში ტრანსპორტი სრულებით არ მუშაობს. ცხადია, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საწარმოში არის შრომის ფლუქტაციონის დარღვევის ფაქტები, ნამორჩებიან გეგმის შესრულებაში.

შვიდი წელია მიმდინარეობს საწარმოს რეკონსტრუქცია, მაგრამ როდის დამთავრდება ეს სამუშაოები, არავინ იცის. ბევრ მმართველებს საქმეა სრულ წესრიგში. როცა საწარმოში არსებულ მდგომარეობას გავეცანით, დირექტორმა თ. კახიძემ გვითხრა, რომ მათ პირველი იანვრისათვის ლითონის არეგიმარი ნაშთი არ გააჩნდათ, შემდეგ კი გვიჩვენა მეტად გრძელი სია, რომელშიც აღნიშნული იყო, თუ როგორ მოიგროვეს ცოტაოდენი ლითონი ამისათვის, რომ იანვარში საწარმოს ნორმალურად მაინც ემუშავა. ცხადია, ამან საწარმოს გაპირვებას ვერ უშველა. იანვრის გეგმა აქ სანაბევროდაც ძლივს შეასრულეს და რაც გამოუშვეს, ისიც კომბინატში ყრია, რადგან სათანადო ლითონის უქონლობის გამო ვერ უშვებენ სახლებისათვის კომპლექტებს. ლითონი მიიღეს მხოლოდ იანვრის 23 რიცხვის შემდეგ. ცხადია, ეს საქმეს ვეღარ უშველიდა.

კომბინატმა ნორმალურად რომ იმუშაოს, დღეში 127 ტონა ცემენტია საჭირო. აქ 800 ტონა ტევადობის ცემენტის შესანახი სათავსოები აქვთ. დაწყებულია ოთხი სილოსის მშენებლობა, რომელიც დამთავრებული არ არის. ამის გამო, რომ მიღებული ცემენტი უკან არ დაიბრუნონ, აქ იძულებული არიან იგი მიიღონ და ჩაყარონ შეუფერებელ სათავსოებში, საიდანაც, დარწმენებული ვართ, ნახევარსაც ვეღარ გამოიყენებენ, დიდი ნაწილი გაუფუჭდებათ.

საწარმო გადაუდებელ დახმარებას ითხოვს. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, მთავართბილმშენმა, № 15 ტრესტმა, რომლის გამგებლობაშიც აღნიშნული კომბინატი შედის, თუ გადამჭრელი ზომები არ მიიღეს მდგომარეობის გამოსასწორებლად, ბინათმშენებლობის გეგმის შესრულებას აქედანვე საფრთხე ემუქრება. ასეთივე მდგომარეობაა ინგმშენის საწარმოო კომბინატში (დირექტორი ი. ბოლქვაძე).

კარგად დაყენებული აღრიცხვა მუშაობის საღაკეა. მაგრამ ეს ყველგან როდი ესმით. დასახელებულ და სხვა ორგანიზაციებში არა აქვთ მასალების მიღებისა და გაცემის ჟურნალები. ჩვენს კითხვებზე პასუხისათვის საათიც კარგავდნენ.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ მთელ რიგ საწარმოებში საღრიცხვო დარგისა და ეკონომიური სამსახურის მუშაკები თავიანთ მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებენ, საწარმოს ხელმძღვანელებს დროულად ვერ აწვდიან ინფორმაციას შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

* * *

როგორც ცნობილია, მშენებლებმა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებმა გადადებული ვალდებულებები იკისრეს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ზემოთ მოყვანილი სამწუხარო მაგალითები მეტყველებენ, რომ თავი ისინი არაორგანიზებულობამ. თითქმის რიგმა საშენებლო ორგანიზაციებმა, საწარმოო კომბინატებმა იანვრის გეგმა ვერ შეასრულეს.

ნაპორრენის დაძლევისათვის გადამჭრელი ზომები აქედანვე უნდა მიიღონ დასახელებულმა ორგანიზაციებმა და საქმე ისე მოაწყონ, რომ უახლოეს დროში დაფარონ დანაკლისი, უზრუნველყონ რიტმული, გამართული მუშაობა.

საქართველოს სსრ მშენებლობის, საავტომობილო და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებმა მტკიცე კონტროლი უნდა დაწესონ მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე, გადაჭრით აამაღლონ მუშაკთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის და ყველა ზომა მიიღონ იმისათვის, რომ ნაკლოვანებები რაც შეიძლება მალე გაშოსწორდეს, ხუთწლედის გადამწყვეტი წლის ყველა დავალება შეუფერხებლად შესრულდეს.

ვ. ტიქოევა,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

ზ. ჯამასპიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

პროექტის ბრალია, სად იყო სამინისტრო!

ეროვნული მინისტრი

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი ამხ. გ. ქობულია

კრიტიკულ წერილში, რომელიც ამ სათაურით დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“, აღნიშნული იყო თელავის სავაზო-სამშენებლო მანქანების შემკეთებელი მექანიკური ქარხნის მუშაობაში არსებული ხერხოზული ნაკლოვანებები.

წერილი განიხილა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ. როგორც მინისტრმა გ. ქობულიამ გვაცნობა, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

სამინისტროს კოლეგიამ, — ნათქვამია პასუხში, — დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კოლეგიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მუშათა ყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და დაავალა: ტრესტ „ალაზანშენს“ (მმართველი გ. ხუციშვილი) მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე დაამთავროს 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა; თელავის ქარხნის დირექტორს თ. ხულანიშვილს — უზრუნველყოს საბაზანო ხაჭირო ინვენტარით და საეჭსლოატაციოდ გადასცეს თებერვალში. ინსტიტუტ „საქწყალპროექტს“ (დირექტორი ზ. ღამბაშიძე) დაევალა დაიჩქაროს ქარხნებს შორის საიზოლაციო ტიხრის პროექტის შემუშავება.

კოლეგიამ „საქმონტაჟსპეცმშენს“ მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილესთან ი. თოფურიასთან ერთად შეიმუშავა ღონისძიებანი ქარხნის საენერგეტიკო და გასათბობი მოწყობილობის თებერვალში ამუშავებისათვის.

ამ ღონისძიებათა შეხრულების კონტროლი დაეკალა მთავარწყალმშენს.

კოლმეურნეები მსჯელობენ სოფლის მოვავალზე

ასე შრომობენ შრომაში

ხოფლი შრომა. ამ სოფლის კოლმეურნეობა, რომელიც დიდი ღონისძიებელ სასელს ატარებს, სამართლიანად ამაყობს ლაგოდეხის რაიონში. შრომელები რაიონში ყოველთვის სხვაზე მეტ პურს, თამბაქოს რეკანს, ყურძენს, ხორცს, რძეს აწარმოებენ, ყველაზე მეტი სოციალისტური შრომის გმირი, ორდენოსანები და მედალოსნებიც ამ სოფელში არიან. აქაც, როგორც რაიონის ბევრ სოფელში, თამბაქოა კოლმეურნეობის ეკონომიკის გასმსაზღვრელი. მაგრამ შრომელი კაცი არანაკლები სიყვარულითა და მოდღეობით ეკიდება სიმინდის, ყურძნის, რეკანის მოყვანის საქმეს. მოწინავე მეთამბაქეე ივგივე მოწინავე მესიმინდე, მევენახე, მებოსტნეა.

გასული წლის რთულ ბუნებრივ პირობებს შრომელებიც ემდურებიან, თუმცა იგი ყველას ერთნაირად რიდი შეეხო. ბრძოლია ხალხს ნათქვამი: „თუ შენს ბოსტანში კარგი მოსავალი არ მოვა, ყველაფერს მზეს ნუ დაადანაშაულებ“.

როცა ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ყაველაშვილმა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე წლიური მუშაობის შედეგები წარმოადგინა არა მარტო კოლმეურნეობის, არამედ საწარმოო ბრიგადების, ბოგლების თუ ფერმების მიხედვით, ეს კიდევ უფრო ნათელი გახდა.

კოლმეურნეობამ, მიუხედავად ერთგვარი სიძნელეებისა, გასულ წელსაც წარმატებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულებები მარცვლეულის, თამბაქოს, ხორცის, რძის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში. სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მიაყიდა 201 ტონა მარცვლეული, 57 ტონა თამბაქო, 39 ტონა ბოსტნეული, 7 ტონა ხორცი, 54 ტონა რძე და სხვა პროდუქტები. მაგრამ ეს მოხდა ცალკეული ბრიგადებისა და ფერმების ხარჯზე, ბევრი მათგანი კი კეთილ ჩამორჩენა, წლების მანძილზე ვერ ასრულებს მიცემულ დავალებებს. ეს აღნიშნეს როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათეებმა თავიანთ გამოსვლებში. თუმცა კარგი ანალიზი ვერ გაუკეთეს ფაქტებს, პირდაპირ არ უთხრეს სათქმელი ამხანაგებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ყაველაშვილმა აღნიშნა, რომ კოლმეურნეობამ შეასრულა როგორც ფულადი შემოსავლის, ისევე მოგების წლიური გეგმები, ეს ძირითადად მეცხეცარეობიდან შემოსავლმა განაპირობა. მეეხოვლეებმა 24.403 მანეთი ზარალით დაამთავრეს წელი.

მოსსენების ირგვლივ კამათში გამოსულმა კოლმეურნეებმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შ. შუბითაძემ, ა. ასანიძემ, მ. კოკილაშვილმა, შ. ნატროშვილმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ სოფელში, კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ საარგებლო შრომას, ზოგნი კი კოლმეურნეობაში მხოლოდ მოგალეობის მოდის მიზნით ბრძანდებიან. „ბევრ ადამიანს, — ამბობდნენ სიტყვიერი გამოსვლები, — ბევრ ადამიანს ეს ინიციატივა რატომღაც ძნელად მიეკვა. ამ საქმეში დიდი როლი უპირველეს ყოვლისა თვითონ შრომელებმა უნდა შეასრულონ. ისინი რომ კარგად შრომობენ, კარგი ახალგაზრდებიც უნდა აღზარდონ.

ახალგაზრდობა მაინც დიდი ძალაა სოფლად. ახალგაზრდების ძალებით გასულ სამეურნეო წელს დამუშავდა 50 ჰექტარი ხათხნი კულტურები. მათ აიღეს 400 ტონა შაქრის ჭარხალი, 1.300 ტონა მარცვლეული, 500 ტონა უხეში საკვები. ამ სამუშაოს შესრულებისათვის კარგად მოიხსენიეს ახალგაზრდები ზ. მუხაშვილი, ნ. მილაძე, ჯ. ზაქიშვილი, თ. პაპუაშვილი, ი. ბითაძე, ა. მაისურაძე, ა. მუხაშვილი და სხვა მათი თანამოკლები. მათ მოხუცებიც აღაფრთოვანეს. გასულ წელს ოცამდე ჰექსიონერმა შრომადღეების მინიმუმზე მეტი გამოიმუშავა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, როგორც მოსსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ 1973 სამეურნეო წელი ხუთწლედის გადამწყვეტი წელია. საჭიროა ყველა რეზერვის ამოქმედება, რომ ეს წელი დიდი წარმატებით დავამთავროთ. ეს კი უნდა გამოსახატოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სასელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში.

ქვემოგანელელ კოლმეურნეთა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ალკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი.

რ. ბასილაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ბრიგადა ბ. ბერიძის

ბრიგადა ბ. ბერიძის ბოგლებზე ბ. ბერიძეს, ბ. ბერიძეს, ბ. ბერიძეს, ბ. ბერიძეს, ბ. ბერიძეს, ბ

ამერიკული დღის



ᲙᲛᲣᲠᲘ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 7 ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲘᲡᲘ). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ და მინისტრთა საბჭომ დღეს დარბაზობა გაუმართეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

დარბაზობაზე, რომელიც კმური სოლიდარობის ვიეტნამელ ხალხთან და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მიმდინარეობდა, გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი.

მან გულთბილად მიულოცა ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლებს მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მრავალი წლის ბრძოლის წარმატება. ეს გამარჯვება განამტკიცა ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმებამ.

ე. ჰონეკერმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა სრულ სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელ ხალხს.

დარბაზობაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფუენ სონგ ტუნგმა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პაი ლონგმა.

ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲘ ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲨᲘ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. 7 ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ (ᲡᲐᲯᲚᲘᲡᲘ). დღეს ბელგრადში გაიხსნა თათბირი იდეურ-პოლიტიკურ საკითხებზე, რომელზეც გამოვიდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის აღმასრულებელი ბიუროს მდივანი ს. დოლანცი.

მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ კონსტიტუციის 21-ე, 22-ე და 23-ე შესწორებათა განხორციელებასთან დაკავშირებული იდეურ-პოლიტიკური საკითხები სოციალისტური რევოლუციის მთავარი საკითხებია, რომელებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ იუგოსლავიის შემდგომი განვითარებისათვის.

ეს შესწორებანი, თქვა ორატორმა, გამოხატავენ იუგოსლავიის ვიომუნისტთა კავშირის პოზიციას, რომელიც ნიშნავს, რომ მუშათა კლასმა მთლიანად და სავსებით უნდა იკისროს წამყვანი როლი საზოგადოებისა და წარმოების სფეროში.

არსი პოლიტიკური ხაქმიანობისა, რომელიც შარშან დაიწყო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირმა, სწორედ ის არის, რომ უზრუნველყოს კონსტიტუციის მიღებულ შესწორებათა განხორციელება. ამ მხრივ უდავოდ დიდი წარმატებებია მიღწეული.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. ნაციონალიზმი, ტექნოკრატიზმი, ბიუროკრატიზმი და სხვა მსგავსი მოვლენები, აღნიშნა ს. დოლანცმა, არსებითად მიმართული იყო იმის წინააღმდეგ, რომ მუშათა კლასს დაეკავებინა ისეთი ადგილი, როგორსაც აკუთვნებს პარტია, იმის წინააღმდეგ, რომ მუშათა კლასი ასრულებდეს კონსტიტუციის შესწორებებით გათვალისწინებულ როლს.

ᲙᲛᲣᲠᲘ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ. 7 ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲘᲡᲘ). ქვეყნის უდიდეს ეროვნულ სტადიონზე გაიმართა ჩილეს დედაქალაქის მშრომელთა გრანდიოზული მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა ახი ათასამდე კაცი. მიტინგზე გამოაცხადეს მთავრობისა და სახალხო ერთიანობის პარტიების ფედერაციის პროგრამა პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც 4 მარტს გაიმართება.

ამ დოკუმენტში განსოგადებულია მთავრობის პროგრამის შესრულების უკანასკნელი ორი წლის გამოცდილება. ჩილელი ხალხი, ნათქვამია პროგრამაში, აწყდება სიძნელეებს, რომლებიც სჩქვეია ძირეული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების რევოლუციურ პროცესს. ახალი ეკონომიური სტრუქტურის შექმნისათვის მშრომელთა მასების ბრძოლა იწვევს იმათ გაფთრებულ წინააღმდეგობას, ვისაც ხელს აძლევდა პრივილეგიების არსებული სისტემა. წარმოების კაპიტალისტური წესის კრიზისის პირობებში მშრომელებს აქვთ მხოლოდ ერთი გამოსავალი — ამენონ სოციალიზმი.

პროგრამა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სახავს ჩილეს დამოუკიდებლობის განმტკიცებას, ქვეყნის საბოლოო განთავისუფლებას იმპერიალიზმის უღლისაგან. მნიშვნელოვანი ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის წამყვან სექტორად გადაქცევას და მშრომელთა მონაწილეობას წარმოების მართვაში.

საარჩევნო პროგრამით დასახულია მშრომელთა მიერ მთელი ხელისუფლების მოპოვების ამოცანა. გათვალისწინებულია მიღებული იქნეს ახალი კონსტიტუცია, შეიცვალოს ორპალატიანი პარლამენტი ერთპალატიანით, ერთფეროვნად მოიწყოს პრეზიდენტის და კონგრესის არჩევნები, წამოაყენონ კანონპროექტები ხალხთა მასების ინიციატივით, უფრო ფართოდ ჩაებან მშრომელნი ქვეყნის მართვაში.

ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ განაცხადა, რომ რეაქცია ლამობს მოსპოს დემოკრატია ქვეყანაში, მიმართავს სხვადასხვა მაქინაციებს სახალხო მთავრობის დასამხობად; ხალხს, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, არ ხურს ძალადობა, მაგრამ იგი არ დაუშვებს რეაქციის თარეშს. მშრომელნი ვერ მოითმენენ ისეთ ძირგამმთხრელ მოქმედებას, როგორიც იყო მეწარმეთა და ვაჭართა მიერ გასული წლის ოქტომბერში უკანონოდ მოწყობილი გაფიცვა".

ს. ალიენდემ დაწვრილებით ილაპარაკა სახალხო მთავრობის ხელისუფლების სათავეში ყოფნისას მოპოვებულ წარმატებებზე, გააანალიზა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა.

დასასრულს ს. ალიენდემ გამოთქვა მგზავიცე რწმენა, რომ ჩილეში განვითარდება რევოლუციური პროცესი.

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

Ჯ. ᲕᲐᲚᲓᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲓᲔᲚᲘ. 7 ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲘᲡᲘ). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა დღეს დელში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ წარმატებით ჩაიარა მისმა მოლაპარაკებამ ინდოელ ხელმძღვანელებთან.

მოლაპარაკების დროს, აღნიშნა მან, შეეხეთ მთელი საერთაშორისო განვითარების პრობლემებს, აგრეთვე სამხრეთ აზიის სუპერკონტინენტის მდგომარეობას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გამოთქვა იმედი, რომ დედამიწის ეს რაიონი გადაიქცევა მტკიცე მშვიდობის ზონად. შეთანხმება, რომელსაც შარშან ივლისში მოაწერეს ხელი ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ და პაკისტანის პრეზიდენტმა ზ. ა. ბუტომ, ხაზგასმით აღნიშნა მან, „დარჩენილი გადაუჭრელი საკითხების მოწესრიგების კარგ საფუძველს ქმნის".

პრეს-კონფერენციის დროს კ. ვალდჰაიმმა გამოთქვა აზრი, რომ ომის შეწყვეტას ვიეტნამში მოჰყვება მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება ამ რაიონში და პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებაზე.

ინგლისის მუშაოველები განაგრძობენ ბრძოლას მონოპოლიების შემოტევის, „მრეწველობაში შრომითურთობის" ანტიმუშური კანონის, ხელფასის გაყინვის წინააღმდეგ.

სურათზე: კომუნალური მეურნეობის მუშაკთა დემონსტრაცია ლონდონის ერთ-ერთ რაიონში.

ᲗᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲗᲔᲗᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 7 ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲘᲡᲘ). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი თეთრ სახლში შეხვდა აქ ვიზიტად მყოფ იორდანიის მეფე ჰუსეინს. შეხვედრაში მონაწილეობდა აგრეთვე პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი.

როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, მხარეებმა განიხილეს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა, აგრეთვე სხვა საერთაშორისო საკითხები, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს. გარდა ამისა, მისი სიტყვით, პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა და მეფე ჰუსეინმა განიხილეს „იორდანიის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაში" შეერთებული შტატების დახმარების საკითხები.

თეთრ სახლში ხუთრის შემდეგ იორდანიის მეფე შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს უ. როჯერსს.

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲛᲝᲜᲢᲔᲕᲘᲓᲔᲝ. 7 ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲘᲡᲘ). მეორე წლისთავი შეხვედრილ, რაც შეიქმნა ფართო ფრონტი — ურუგვაის პროგრესული ძალების კოალიცია, რომელშიც შედიან კომუნისტები, სოციალისტები, ქრისტიანი დემოკრატები, განთავისუფლების მემარცხენე ფრონტი და ზოგიერთი სხვა დაჯგუფება. ეს ფრონტი, რომელიც 1971 წლის საუოველთაო არჩევნებისათვის მზადების დროს შეიქმნა, გადაიქცა ქვეყნის მძლავრ ძალად.

დამოუკიდებელმა საგარეო პოლიტიკამ, ბანკების, მსხვილი მონოპოლიებისა და საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზაციამ, ნამდვილად აგრარული რეფორმის განხორციელებამ და ფართო ფრონტის პროგრამამ სხვა მოთხოვნებმა პოპულარობა მოიპოვეს ურუგვაის ხალხის მასებში. მის კანდიდატებს ხმა მისცა 300 ათასზე მეტმა ურუგვაელმა. კოალიციამ მიიღო 23 ადგილი პარლამენტში და 51 ადგილი მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში.

ახლანდელი საგანგებო წესების პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ არ წყდება ტერორისა და დაშინების კამპანია, რომელსაც შინაური რეაქცია ეწევა პატრიოტული ძალების წინააღმდეგ, ფართო ფრონტი იცავს ხალხის მასების ძირეულ ინტერესებს, მის დემოკრატიულ თავისუფლებებს, პარლამენტში ფართო ფრონტის წარმომადგენლები გბედულად ილაშქრებენ რეპრესიული კანონების მიღების წინააღმდეგ, მოითხოვენ კონსტიტუციურ გარანტიათა აღდგენას.

ფართო ფრონტში შემავალი პარტიები განუწყვეტლივ ამხილებენ უცხოური კაპიტალის ინტერესებისადმი ქვეყნის დაქვემდებარების პოლიტიკას, რომელიც თავს მოახვია ურუგვაის საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, და ამასთან დაკავშირებულ ინფლაციასა და ხალხის ცხოვრების დონის დაქვეითებას. ფრონტის მომხრენი მძლავრი საგაფიცვო მოძრაობის პირველ რიგებში არიან.

ფართო ფრონტის საქმიანობის შედეგების შეჯამებისას ურუგვაის კომპარტიამ ხაზგასმით აღნიშნა პროგრესული ძალების ამ კოალიციის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 7 ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ. (ᲡᲐᲯᲚᲘᲡᲘ). ათი დღის შესვენების შემდეგ ლოს-ანჯელესში განახლდა სასამართლო პროცესი ამერიკელ მეცნიერთა დ. ელსბერგისა და ე. რუსოს საქმის გამო, რომლებმაც ამერიკის პრესას გამოსაქვეყნებლად გადასცეს პენტაგონის დოკუმენტები ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მომზადებისა და განაღვრების შესახებ.

შესვენება პროცესზე გამოწვეული იყო ხელისუფალთა ფარული მანევრების ახალი მხილებით.

ბრალდების მოწმეთა ჯვარედინმა დაკითხვამ „ცალკე ცხადყო, რომ მთავრობას წინასწარულად აქვს გაუსწორდეს მეცნიერებს, რომლებიც პენტაგონის ვიეტნამის ანტიეთერის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲤᲐᲚᲓᲔᲑᲘ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

როცა ნიღაბი ჩამოხდილია

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲔᲚ კომუნისტთა გაზეთ „ფოლსშტიმეზი" გამოქვეყნდა ხალდუმლო „სახელმძღვანელო" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამ იდეოლოგიური დივერსიის მიზნებსა და მეთოდებზე, რომელიც რადიოსადგურ „თავისუფლების" მეშვეობით ხორციელდება. პუბლიკაციას თან ახლავს „სახელმძღვანელოს" ინგლისური გამოცემის ორიგინალის ხელტატულო ფურცლის ფოტოპირი. მერედა, რას წარმოადგენენ „თავისუფლება" და ეს დოკუმენტი?

ᲫᲘᲠᲒᲐᲛᲛᲗᲮᲠᲔᲚᲘ ორგანიზაცია, რომელიც ახლა „თავისუფლების" რადიოს კომიტეტს" უწოდებს თავის თავს, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმიანობს 1951 წლის 7 მარტიდან. მის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს მსხვილი საფინანსო კაპიტალის წარმომადგენლებმა, აგრეთვე პირწავარდნილმა ანტიკომუნისტებმა, რომლებსაც ოფიციალური მდგომარეობა უკავიათ სამხედრო, დიპლომატიურ და სხვა სარბიელზე. ეს ხელს არ უშლიდა ამ ორგანიზაციას ერთხანს შინაღმელიყო „ეროვნ ორგანიზაციის" აბრით, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ფონდებიდან აფინანსებდნენ. ამავამად მას ოფიციალურად აძლევენ ვაროიან თანხას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ორგანიზაციის პირველი პრეზიდენტი იყო იუნაიტედ პრესის საგაზეთოს ყოფილი კორესპონდენტი მოსკოვში იუჯინ ლაიონსი, რომელიც ადმირალმა ლესლი სტივენსმა შეცვალა, ხოლო 1954 წლიდან დღემდე მისი პრეზიდენტია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე პოულენდ ჰ. სარჯენტი.

თავისი არსებობის მანძილზე „კომიტეტმა" სამჯერ გამოიცვალა სახელწოდება. ჯერ „ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკული კომიტეტი", შემდეგ „განთავისუფლების ამერიკული კომიტეტი" ეწოდებოდა, 1964 წლიდან კი ეწოდება „თავისუფლების" რადიოს „კომიტეტი". მისი შტაბ-ბინა, რომლის თანაშრომლთა რიცხვი ახს აღემატება, ნიუ-იორკშია.

„კომიტეტის" მთავარი აღმასრულებელი ორგანოა მიუნხენში განლაგებული რადიოსადგური „თავისუფლება" (წინათ „განთავისუფლება" ერქვა), რომელიც მთელი დღე-ღამის განმავლობაში აწარმოებს გადაცემებს საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა 22 ენაზე. 17 გადამცემი დანადგარი თავმოყრილია სამ ბუნქერში: ლამპერტ ჰაიმში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ლაია დე პალეიში (ესპანეთი) და ტაიბეიში (ტაივანი), გარდა ამისა, „თავისუფლების" რადიოს რედაქციის ფილიალები არის ნიუ-იორკში, ლონდონში, რომა და კაპიტალისტური სახელმწიფოების ზოგიერთ სხვა დიდაქალაქში. რადიოსადგურს, რომელშიც ათასზე მეტი კაცი მუშაობს, მეთაურობს აღმასრულებელი დირექტორი, რომლის პოსტი 1965 წლიდან უკავია ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ყოფილ ოფიცერს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კადრის თანამშრომელს ჯ. სკოტს.

რადიო „თავისუფლების" ფაქტიურ მონაცემებს, რომლებიც აქ მოყვანილი, ზოგადად იცნობს საბჭოთა და საერთაშორისო საზოგადოებრიობა. მაგრამ კონცენტრირებული სახით ისინი საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ ფრიად დამასასიათებელ ეკოლუციას, რომლის არსია „თავისუფლების" „რადიოს კომიტეტის" ძირგამმთხრელი ხასიათის გულმოდგინე კაშუფლაკი. ახლა მისი მესვეურები ყოველ გზაჯვარედინზე საქმეყნოდ ფიცულობენ, რადიოსადგურის საქმიანობა მიზნად აღარ ისახავსო „სსრ კავშირში კომუნისტური რეჟიმის დამხობას და სოციალისტური ყოფიერების ლიკვიდაციას", არამედ, არც მეტი, არც ნაკლები, „ხალხთა შორის ურთიერთგაგების განმტკიცებას" ცდილობსო. სწორედ ამ კამუფლაჟით სარგებლობს რადიოსადგური. და ძირგამმთხრელ საქმიანობას ეწევა სსრ კავშირის წინააღმდეგ, ცდილობს განახორციელოს ხოლმე აქვიები, როგორ ერთადერთი მიზანია საბჭოთა საზოგადოების საშინაო საქმეებში ჩარევა.

ავსტრიული გაზეთი „ფოლსშტიმეზ" ძირგამმთხრელი საქმიანობის კამუფლაჟის თემატიკე. „სახელმძღვანელოს" თვითონ აწერს ხელს „თავისუფლების" რადიოს კომიტეტის" პრეზიდენტი ჰოულენდ ჰ. სარჯენტი.

მერედა, რა მთავარი მიზნებია მითითებული ამ საწყლებენ და საპროგრამო დოკუმენტში? „ჩვენ უნდა დავეხმაროთ ხსნილებს ამოიქნიონ უფრო ეფექტიანად, რათა შეცვალონ არსებული საბჭოთა სისტემა..." ასეთია „თავისუფლების" რადიოს კომიტეტის" „საშუშაო" დებულება. განა არ იგრძნობა მასში „ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების კომიტეტის" ხმა სამარიდან? განა ეს არ არის წამქეზებლური ძირგამმთხრელი საქმიანობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მის საშინაო საქმეებში ჩარევა?

მაშ ასე, რადიოსადგურის მიზანია „შეცვალოს არსებული საბჭოთა სისტემა". მაგრამ რომელი მიმართულებით შეცვალოს? „სახელმძღვანელოს" პასუხი ნათელია: გარედან ინსპირირებული აქციებით ან დასაღლეთის მიერ წარმართული „თანდათანობითი ევოლუციის" გზით დაუბრუნონ საბჭოთა ხალხი ექსპლოატატორულ წყობილებას და თავს მოახვიონ მას ეგრეთ წოდებული „ნეოკაპიტალიზმი", რადგან, როგორც ამტკიცებენ „სახელმძღვანელოში", „დასავლეთის დემოკრატიულ ნეოკაპიტალიზმს უამრავი უპირატესობანი აქვს". მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ კაპიტალიზმის მტაცებლურ ბუნებას ვერ შეცვლის ვერც მოდური წინდებული, როგორიცაა, „ნეო", ვერც კეთილსმოვანი ეპითეტები — „დემოკრატიული", „განახლებული" და სხვ.

რადიოსადგური ეთანხმება მაოისტური პროპაგანდის თეზისს. რომელიც უარყოფს იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია მსოფლიო სოციალისტური სისტემა" და ცდილობს დაუმტკიცოს საბჭოთა ადამიანებს, თითქოს „რევოლუციური ბრძოლა მსოფლიოში ამჟამად არ ემთხვეოდეს არც მათს შეხედულებებს, არც მათს ინტერესებს". „სახელმძღვანელოს" ავტორები ბანს აძლევენ ამერიკის საინფორმაციო სამსახურს ყოფილ დირექტორს ფრენკ შეფსპრს, რომელიც კრძალავდა საბჭოთა ხალხს", საბჭოთა ადამიანების" ხმარებას უბრუკალებოდ, და კიდევ უფრო შორს მიდიან, როცა ასეთსავე აკრძალვას ავრცელებენ ისეთ ცნებებზე, როგორიცაა „კომუნიზმი", „კომუნისტები", „ოქტომბრის რევოლუცია" და სხვ.

„თავისუფლების" რადიოს კომიტეტის" ბოსებს სანუკვარ მიზნებს სავსებით შეესაბამება ძირგამმთხრელი საქმიანობის ის მეთოდები და საშუალებები, რომლებსაც სთავაზობს „სახელმძღვანელო". აი ზოგიერთი მათგანი: „რადიოსადგური პოლიტიკურ გავლენას ახდენს და ხელს უწყობს საბჭოთა ხაზოგადოების ევოლუციას... საჭირო იღებისა და ინფორმაციის მიწოდების გზით". „რადიოსადგურს... შეუძლია მიაწოდოს ბევრი ინფორმაცია, რომელიც ფრიად სასარგებლო იქნება რეჟიმისათვის წინააღმდეგობის გაწევის საერთო პლატფორმის შექმნის დროს". „ჩვენ უნდა მივწვდეთ „რეჟიმის პატრიოტებს" და ვაიძულოთ ისინი ეჭვი შეეპაროთ საბჭოთა სისტემასა და საბჭოთა მთავრობის მოქმედებაში..." და ა. შ.

მართალია, ახლა, როგორც ვხედავთ, „თავისუფლების" რადიოს ტიპის ძირგამმთხრელი ცენტრები უკვე აღარ ლაპარაკობენ ამჟამად თავიანთ ჭეშმარიტ მიზნებზე, არამედ გაჩუმებას, ამ მიზნების სეიფში ჩაკეტვას ამჯობინებენ. რადიოგადაეიმეს კი, რომლებიც ხამოლოო ანგარიშით ამოვანად ისახავენ საბჭოთა საზოგადოებისათვის ძირის გამოთხრას, აღგენენ განსაკუთრებული, ხეციალურად რეკომენდებული მეთოდის მეხედვით.

„სახელმძღვანელო", მაგალითად, ავალებს თანამშრომლებს „მოიყვანონ სპეციალურად შერჩეული და სათანადოდ გაფორმებული ფაქტები", თანაც აფრთხილებს, რომ „ინფორმაციის საბჭოურ წყაროებთან პოლემიკას არავითარი სარგებლობა არ მოაქვსო". უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სასარგებლო არ არისო რადიოსადგურისთვის. რადიოსადგური კიდევ არიდებს თავს პოლემიკას, რადგან ეშინია მორიგი მხილებისა. „თავს ნუ ავიტკივებთო", — აი როგორ ხსნიან თავიანთ სიფრთხილეს „სახელმძღვანელოს" ავტორები. „ბევრად უფრო ხელსაყრელია დისკუსიები გავმართოთ პრობლემებზე ჩვენი საკუთარი საზომის მიხედვით", — აცხადებენ ისინი.

ინსტრუქცია აფრთხილებს, რომ „რადიოსადგურისათვის ფრიად სასიფათოა ყოველგვარი ციფრების მოყვანა", და აღნიშნავს, რომ „პოლიტიკური ტალანგობა ბევრად უფრო ეფექტიანია, ხოლმე, როცა მასში მცემულია ორგზფული, დაუმთავრებელი აზრები". და ბოლოს, სახელმძღვანელო მოითხოვს „პოლიტიკური, ეკონომიური თუ კულტურული მოვლენების შესახებ ფაქტები ისე ოსტატურად და დამაჯერებლად შერჩიონ და მიაწოდონ, რომ „მსმენელებს თვითონ გამოატანონინ სასურველი დასკვნები".

როგორ არ გაგახსენდება აქ ბურჟუაზიული სამყაროს გავლენიანი გაზეთის „ნიუ-იორკ ტაიმსის" ძველი აღსარება, რომლის აზრით იმპერიალისტური პროპაგანდა — ეს არის იმის ცოდნა, თუ როგორ აკოცონინონ ადამიანებს ის, რაც მათ ან არ ხურთ, ან არ ესმით.

განსაკუთრებული ცინიზმით გამოირჩევა „სახელმძღვანელოს" დებულებანი ტაქტიკის საკითხებში. „რადიოსადგურმა თავისუფლებამ" არ უნდა მოახდინოს ისეთი შთაბეჭდილება, ბევრ თქვენს თანამშრომელს ვერაფერი სასელი აქვს, რადგან ეს სასელი გაიტეხეს გეხტაპოსთან და ჰიტლერელთა სხვა სადამსჯელო ორგანოებთან კავშირით. მაგრამ თქვენ, ჰოულენდ ჰ. სარჯენტ, რომელიც 1951 წელს ეუნეკოს გენერალური კონფერენციის თავმჯდომარედ აგირჩიეს პარიზში და სამჯერ მეთაურობდით ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას ამ ორგანიზაციის კონფერენციებზე, თქვენ როგორ მოაწერეთ ხელი ამ ბინძურ დოკუმენტს? იგი ხომ თავით ბოლომდე ეწინააღმდეგება იუნესკოს პრინციპებსა და მიზნებს, რომელიც „თანამშრომლობს ხალხთა შორის ურთიერთგაგნობისა და გაგების განვითარების საქმეში და ამისთვის იყენებს ურთიერთობის ყველა საშუალებას, რა თქმა უნდა, თქვენ გწამთ, რომ „ფული არა ყარს", განსაკუთრებით ის ფული, რომელსაც თქვენ და თქვენი დამქაშები იღებთ არც თუ სასახელო „მოღვაწეობისათვის". მაგრამ მთელი მსოფლიო სედავს საწინააღმდეგოს: ამ დოლარებს პოლიტიკური პროვოკაციებისა და „ცივი ომის" რეციდივების ხუნი უდის.,

დასასრულ, რამდენიმე დასკვნა, რომლებიც უნებურად გამოგვაქვს, როცა ვიცნობით დოკუმენტურ მასალებს რადიოსადგურ „თავისუფლების" ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ.

„თავისუფლების" რადიოს კომიტეტი" და მისი განშტოებული ქსელი ერევა სხვა სახელმწიფოს — სსრ კავშირის საშინაო საქმეებში და მიმართავს შესაბამის ძირგამმთხრელ აქციებს. ამით უხეშად ითელება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნები და პრინციპები, რომელიც კრძალავს „ნარევის ნებისმიერი სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციაში არსებითად შემავალ საქმეებში". „თავისუფლების" ფილიალებისა და გადამცემების არსებობა მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების ტერიტორიაზე ზიანს აყენებს მათ პრესტიჟსა და სუვერენიტეტს.

რადიოსისტემის „თავისუფლების" ხაქმიანობის არსი, აგრეთვე მისი ფალსიფიკატორული. ფორმები, წამქეზებლური თემიდები და პროვოკაციული ტაქტიკა ხელს უშლიან საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, ხალხთა უშიშროების განმტკიცებას, ნდობისა და თანამშრომლობის დამყარებას სხვადასხვა ხაზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა შორის.

სსრ კავშირის 50 წლისთავის შეხვედ მოსსენებაში ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ხშირად გვსმენია, რომ დასავლეთში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კულტურის დარგში თანამშრომლობას, და განსაკუთრებით იღებათ გაცვლას, ინფორმაციის გაფართოებას, ხალხთა შორის კონტაქტებს. ნება მიბოძეთ სრულიად ნათლად განვაცხადოთ აქ: ჩვენც ამის მომხრენი ვართ. რა თქმა უნდა, თუ ასეთი თანამშრომლობა განხორციელდება თვითეული ქვეყნის სუვერენიტეტის, კანონებისა და ჩვეულებების პატივისცემის პირობებში და ხელს შეუწყობს ხალხთა ურთიერთ სულიერ გამდიდრებას, მათ შორის ნდობის ზრდას, მშვიდობისა და კეთილმეზობლობის იდეების დამკვიდრებას".

მთელ მსოფლიოში მხურვალე გამოხმაურებას პოულობს საბჭოეთის კონსტრუქციული წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების შესახებ. და ბნელეთის ვერავითარი ძალები ვერ მოსცხებენ ჩირქს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების პოლიტიკას, რომელსაც თანამიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა კავშირი.

თავიანთ გადაცემებში რადიოსადგურ „თავისუფლების" ხელმძღვანელები აცხადებენ, თითქოს ხურდეთ „კონსტრუქციული დიალოგები" ჩვენთან სხვადასხვა საზოგადოებრივ პრობლემაზე. არა, ბატონებო, არაუდიალოგები, არამედ ყოველგვარი ურთიერთობა თქვენთან ამორალურია ისევე, როგორც ამორალურია ურთიერთობა ბორტმოქმედებთან.

სხვა საკითხია, რომ შეიძლება იყოს საუბარი თქვენზე, თქვენს არსებობაზე, ესე იგი დიალოგი იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც ჯერ კიდევ გაძლევენ სახსრებსა და გიამბენენ ტერორისტებს. ეს იქნებოდა ერთიერთ პრაქტიკული ნაბიჯი „ცივი ომით" ჩახერგილი გზის გაწმენდაში.

ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობის პრინციპების შესახებ ამ ბოლო წლებში ხელმოწერილი დოკუმენტების ფორმა თუ არა შინაარსი მაინც გვიკარნახებს ისტორიის სანაგვეზე გადაგუძახოთ რადიოსადგურ „თავისუფლებას" როგორც „ცივი ომის" რელიქტს.

Მ. ᲕᲝᲚᲒᲘᲜᲘ.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

— ჩვენი ბუღალტერია მეურნეობის სარკეა, — თავს იქებს ხოლმე თავისი „გამოთვლითი ცენტრებით" საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საანგარიშო დარგის ზოგიერთი მუშაკი.

ზოგ ხაბუღალტრო ანგარიშებში აისახება თავდაჯერებული, სათუთად მოვლილი და ნაპატიები გაგანტი ხმო. შემოგვყურებს იგი უამრავი ციფრის ხეტებიდან უზარმაზარი თვალებით, მოლაპლაპე, კუპრივით შავი დრუნჩით. ასე გვონია, ეშმაკურად აღიმებაო.

ანგარიშები მოწმობენ, რომ ამა ქვეყნად მოვლენისთანავე იგი ბედით განებივრებული იყო. თითქოსდა მას, წუვილჩალქოსანთა ოჯახის ამ ჩვეულებრივ ნაშიერს, დაბადებიდანვე შეუქმნეს ისეთი ცხოვრება, როგორიც ხავსებით სამართლიანად მემკვიდრე უფლებულსაც შეუურდებოდა.

დილაადრიან, როგორც კი ხბო თვალს მოიფშვნეტს და გრძელ, კეკლუცად აპრეხილ წამწამებს დაახამხამებს, მასთან მოახლეობა... ანუ მეხბორეობა მთელი გუნდი მიეშურება. თეთრ ხალათებში გამოწყობილნი, ისინი ზოოვეტხპეციალისტთა ფსიზელი მეთვალყურეობით ხასოფლის ბანენ ნოვიანთ ალბაზრდელს დრუნჩს ვარდის წყლით, ფხანენ ყურს, ფუნჯისმაგვარ კუდზე აბნევენ ხხვადასხვა ფერ ბაბთებს. გულზე ჩაკიდებენ წინსაფარს, და აქ გაისმის დაფდაფების გუგუნი, რომლებიც გვაუწყებენ, დილის პურობა იწყებაო.

ხბო ზეიდზედ ცლილ მოუხდელი რძით ხავხე ბოთლებს, ზედ აყოლებს პოლავიტამინებს, მაგრამ ესეც არ ბყოფნის, და გადიება, ერთმანეთს რომ ეცილებიან, მიეშურებიან, რომ ახალ-ახალი კერძები მოართვან. მოაქვთ ხურნელოვანი ნუგბარი. აქ ხილოსნეკ არის, ახალი მწვანილითა და მარკოსნების გარნირით

საქართველოს ამბავი — ბაკურში

ხელოვნების ამბები

შეხვედრა მსახიობის სახლში

გერმანულ სცენაზე „ლაბისის“ წარმატების გამო

ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა თბილისის საზოგადოებრივობის შეხვედრა საარბრიუკენში ოპერა „დაისის“ მონაწილეებთან და სპექტაკლის დამდგმელ ჯგუფთან. იგი მოაწყვეს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა.

შეხვედრა გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

ქართველი კომპოზიტორის ოპერის უდიდეს წარმატებაზე, უკვდავი მუსიკისადმი გერმანელ მსმენელთა ინტერესზე, ქართველ მსახიობთა აღიარებაზე შეკრებილთ მოუთხრო რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. კუპრავამ. გერმანელი მსმენელები და მუსიკის კრიტიკოსები დიდად აღტაცებული იყვნენ, როცა გაიცნეს ქართული ოპერის უკვდავ მელოდიებს, თქვა მან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ვ. ბრანდტმა გამოგზავნა მისალოცი დეპეშა გერმანულ სცენაზე ოპერის დადგმის გამო:

„ხვა ხალხის ხელოვნებასთან გაცნობა გვეხმარება უკეთ გავუგოთ და დავაფასოთ ეს ხალხი, მსგავსი გაცვლები ხელოვნების სფეროში წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურთიერთგაგების გაუმჯობესებაში“.

შეხვედრის მონაწილეებმა ინტერესით მოუსმინეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებს, დირიჟორს ვ. ფალიაშვილს, სოლისტებს ნ. ანდღულაძესა და ლ. ჰყონიას, დამდგმელ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ჟორდანიას, ქორეოგრაფს ვ. გუნაშვილს, მხატვარს თ. სუმბათაშვილს. (საქინფორმი).

რუმინელი მომღერალი თბილისში

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გასტროლებს მართავს ცნობილი რუმინელი მომღერალი ელენე ჩერნეი.

მან წარმატებით იმღერა ჯ. ვერდის ოპერა „აიდაში“, — შეასრულა ამნერისის პარტია. მასთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ზ. ანჯაფარიძე და პ. ამირანაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ც. ტატიშვილი, მსახიობები ი. ლაფერაშვილი, ნ. ნადიბაძე, ლ. მაღნარაძე და სხვები.

8 თებერვალს ჩვენი სტუმარი გამოვა ვ. ბიზეს ოპერა „კარმენში“, სადაც იმღერებს მთავარ პარტიას.

ხარაზოზე: ელენე ჩერნეი — ამნერისი.

ა. კაკაბაძის ფოტო.

მაყურებელმა ნახა პრემიერა

ქუთაისი. (ხაკ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ვ. ალაშვილის „ლიბისევის საიდუმლო“.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა შ. ფურცხვანიძემ, მხატვრულად გააფორმა ჯ. ფაჩუაშვილმა.

ახალციხე. (ხაკ. კორ.). ამ დღეებში მესხეთის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა ბაბკირული დრამატურგი მუსტაკი კარიმის ტრაგედია „მთავარის დაბნელების ღამე“.

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნ. დემეტრაშვილმა. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხალხთა ურთიერთგაგების ინსტიტუტის ასპირანტ ბ. ბეგიშის ლაურეატ ფ. ლაპიაშვილს.

მთავარ როლებს ასრულებენ ჯ. ალავიძე, ლ. თეფნაძე, ლ. ხულუაშვილი, გ. პატარიძე, ს. მელაძე, ჰ. ჭადაგიშვილი, რ. ხატიძე, ი. აწყურელი, ი. რეხვიაშვილი, ს. ბაკურაძე.

„ლაზარე“ — უნივერსიტეტში კარგი ტრადიცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციად დამკვიდრდა ახალი ქართული მხატვრული კინოფილმების მასობრივ ეკრანზე გამოსვლამდე ჩვენება და მათი განხილვა. ამ საინტერესო ღონისძიების ინიციატორი უნივერსიტეტის კინოსა და ტელევიზიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის (ხელმძღვანელი დოცენტი თ. ქვარიანი) მუშაკები არიან.

ერთ-ერთი ასეთი განხილვა ახლახან შედგა ლაბორატორიის კინოდარბაზში. ამჯერად უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა ნახეს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ახალი კინოფილმი „ლაზარე“, რომლის ავტორია ახალგაზრდა რეჟისორი ბუბა სიტიკვარი.

ნ. ლომაძე.



„განთიადი“ 10 წლისაა

თბილისის დინამო-ტრაქტორის სპორტის ხელოვნების ნაკრებმა ჩამოართვა სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ვოროშილოვგრადის „ავტომობილისტის“ ვაჟთა გუნდებს შორის.

ქართველ კალათბურთელთა გამარჯვებამი გათამაშების აუტსაიდერთან ექვი არავის ეპარებოდა. ასეც მოხდა. მთელი მატჩი დინამოელთა უპირატესობით წარიმართა, რომლებმაც მიმდინარე ჩემპიონატში მერვე გამარჯვება მოიპოვეს — 106:77 (48:34). თბილისელებს ყველაზე მეტი ქულა მოუტანა მ. ქორქიამ — 18.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩში წარმატება ხუთმრეს ხედათ — 91:66 (35:28).



ბაკურიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა